

ქორთიარდ მარიოტი – წარმატების ტრადიცია თავისუფლების მოედანზე

ყველაზე საქმიანი ადამიანების შეხვედრის დრო და ადგილი

წარმატების ტრადიცია აქ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაჩნდა – როცა ქალაქის საბჭოს (მერიის) შენობა ააგეს და მაშინდელ თბილისში ეს იყო საუკეთესო თავშეყრის ადგილი, სადაც თბილისის მოქალაქეებს იმ დიდი საათის ნახვა შეეძლოთ, რომელიც ზუსტ დროს აჩვენებდა.

თუ მაშინდელ ტფილისში ვინმეს მართლა რამე სერიოზული საქმე ჰქონდა, თავის პარტნიორს აუცილებლად ამ მოედანზე, დიდი საათის ქვეშ იბარებდა. აქ, ამ მოედანზე, ამ საათის ქვეშ ნათქვამი პირობის სიტყვა თუ ზეპირად დადებული ხელშეკრულება, ყოველთვის იღბლიანი და სარფიანი იყო და მაშინდელი ტფილისის საქმიან ადამიანებს სჯეროდათ, რომ ეს ამ იღბლიანი ადგილის და საათის დამსახურებაც იყო.

იმდროინდელი თბილისი იყო ევროპისა და აზიის გზაჯვარედინი და საქმიანმა ადამიანებმა თბილისს და მის მთავარ მოედანს მოაშურეს.

ეს მოედანი არა მარტო საქმიანი არამედ კულტურული ცენტრიც იყო. 1851 წელს ამ მოედანზე იტალიური ოპერის თეატრი ააშენეს, სადაც თბილისელებსა და თბილისის სტუმრებს, ნამდვილი ხელოვნების მოსმენითა და ცქერით, დასვენებაც შეეძლოთ.

1858 წელს სწორედ იქ, სადაც ახლა ჩვენი სასტუმროა, სასტუმრო “კაკაზი” გაიხსნა, რომელსაც ერთ-ერთი პირველი დიდი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა ეწვია.

მთელი ცხოვრება თავის წარმატებას ამ მოედანს, ამ ქალაქსა და ამ ქვეყანას უკავშირებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მრავალი წარმატებული ადამიანიც, მაგრამ არა მხოლოდ მწერლები და პოეტები, არამედ ცნობილი მეწარმეები და ბიზნესმენები, მათ შორის ალფრედ ნობელის და სიმენსების დასახელებაც იკმარებდა.

ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საქართველო საუკეთესო ახალი სამყარო იყო დასავლეთის საქმიანი ადამიანებისათვის და ვინც ერთხელ მაინც ჩამოდიოდა, ვერასოდეს ივიწყებდა ამ უძველესი ცივილიზაციის ხალხს და კიდევ ბევრჯერ სტუმრობდა ამ ქვეყანას და ამ ქალაქს.

სწორედ ამ სასტუმროს წინ, ამ მოედანზე ხდებოდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები და ამიტომაც ეწოდება ამ ადგილს თავისუფლების მოედანი – სახელი, რომელიც ამ მოედანმა ნამდვილად დაიმსახურა. საბჭოთა პერიოდის ოკუპაციის მთავარი სიმბოლო,

ლენინის ყველაზე დიდი ძეგლიც სწორედ ამ მოედნიდან აიღო თავისუფლებისმოყვარე ქართველმა ხალხმა.

თავისუფლების მოედანი და სასტუმრო ქორთიარდი კვლავ არის თქვენი შეხვედრის დრო და ადგილი და ჩვენ გვჯერა, რომ წარმატების ტრადიცია, რაც ამ ადგილს თან ახლავს, თქვენ საქმეებზეც აისახება.



TBILISI

თავისუფლების მოედანი №4,
თბილისი 8, 0105 საქართველო
ტელ 995.32.779100 ფაქსი 995.32.779110
courtyard.com/TBSCY